განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამეტის პროექტზე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამეტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მომზადება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: სხვა და სხვა ქვეყნების პარლამენტებში დაწესებულია ორდენები/ მედლები და სიგელები, რომლითაც ჯილდოვდებიან, როგორც შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეები, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, აგრეთვე პარლამენტში დასაქმებული პირები პარლამენტარიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებისა და პარლამენტებში ხანგრძლივი და ეფექტური მუშაობისათვის.

.ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი

პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიზანია საუკეთესო საპარლამენტო ტრადიციების საქართველოს პარლამენტში დანერგვა და საქართველოს თავისუფლების ორდენისა და პარლამენტის მედლის შემოღებისა და გაცემის სამართლებრივი საფუძველების განსაზღვრა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

პარლამენტის რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს თავისუფლების ორდენისა და პარლამენტის მედლის შემოღებას. თავისუფლების ორდენი გაიცემა, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. თავისუფლების ორდენი გადაეცემა პირებს პარლამენტარიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის., დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის. ხოლო პარლამენტის მედალი გადაეცემათ საქართველოს პარლამენტის აპარატში მომუშავე საჯარო მოსამსახურეებს საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

ორდენისა და მედლის დამზადების ხარჯებს გაიღებს საქართველოს პარლამენტი მისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებათა ფარგლებში.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

რეგლამენტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. იგი დაფინანსდება სახელმწოფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილი ასიგნებათა ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

რეგლამენტის პროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს ფინანსურ შედეგებს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

რეგლამენტის პროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში

რეგლამენტის პროექტის მომზადებისას საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა საზღვაგრეთის ქვეყნების პრაქტიკა, რაც თან ერთვის რეგლამენტის პროექტს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ

ასეთი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი

რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.